

# საგადახდო სისტემების განვითარების პროცესი საქართველოში

ლევან თავართქილაძე  
ნინო პიტიურიშვილი  
ირაკლი ჟორჟიკაშვილი  
ჯგუფი №8

*სამაგისტრო პროექტის  
ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ბიზნესის სკოლაში*

პროექტის ხელმძღვანელი: მაია მელიქიძე, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

## აბსტრაქტი

საგადახდო სისტემები ერთმანეთთან აკავშირებს გადამხდელებსა და გადახდის მიმღებებს, როგორც კონკრეტული ქვეყნების შიგნით, ისე ქვეყნებს გარეთ. საგადახდო სისტემები ეხმარება მოსახლეობას, რათა სწრაფად და უსაფრთხოდ განახორციელონ გადახდის ოპერაციები. ნებისმიერი ქვეყნისათვის ცივილიზებულ სამყაროსთან მჭიდრო კავშირი განვითარებულ საგადახდო სისტემებს და საეთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ინტეგრაციის აუცილებლობას გულისხმობს. ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ თუ რა ეტაპზეა განვითარებული საგადახდო სისტემები საქართველოში, ევროკავშირის და სხვა ქვეყნებთან შედარებით. ასევე შევეცდებით წარმოვაჩინოთ, რამდენად მნიშვნელოვანია ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე, საგადახდო სისტემების განვითარება. კვლევის ამოცანაა ქართული საგადახდო სისტემების მიერ განხორციელებული იმ აქტივობების შესწავლა, რაც გადახდების სიმარტივისკენ იყო მიმართული და სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე ახალი შესაძლებლობების აღმოჩენა. კვლევის მიზანია სხვა ქვეყნების მაგალითიდან გამომდინარე განვსაზღვროთ რა ნაბიჯებია გადადგმული ქვეყანაში საგადახდო სისტემების განვითარების თვალსაზრისით და რა მიმართულებებს სჭირდება გაუმჯობესება, ასევე რა ძირეული ცვლილებები ექნება ქვეყანას გასატარებელი საგადახდო სისტემების რეგულაციების თვალსაზრისით, რათა შესაბამისობაში ვიყოთ ევროკავშირის დირექტივებთან, რომლის ვალდებულებაც ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას ავიღეთ როგორც ქვეყანამ. კვლევის პროცესში გამოყენებულია კითხვარი და ასევე სხვა მეორადი წყაროები. კვლევის შედეგები და რეკომენდაციები დაეხმარება ქართულ საგადახდო სისტემებს არსებული პრობლემების გააზრებასა და ევროკავშირში ინტეგრაციისთვის გასატარებელი ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში, ასევე ითვალისწინებს უცხოური სისტემებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნას.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: საგადახდო, პროვაიდერი, რეგულირება.

## **Abstract**

Payment systems connects payees and payers, as within the country, as from different countries. Payment systems help people to make payments quickly and safely. For any country, modernization means creating the environment, where payment systems have possibility to freely integrate with other payment systems from other countries. Below we will discuss how far are payment systems developed in Georgia, comparing to EU and other countries. Hereby we will try to show how important developing payment systems is on the way to EU. The aim of the research was to study the most popular payment services in Georgia, and exploring new opportunities on examples of other countries. Also show what steps can be taken to develop payment systems in Georgia, from regulator point of view. Research has also studied differences and similarities of Georgian regulations to Payment Systems Directive, that regulates Payments in EU. For research we have used questionnaire and other secondary sources. The result of research will help payment systems in Georgia better realize current problems that payment systems are facing, and what kind of improvements can be carried out. The improvements also considers creating attractive environment for foreign payment systems.

Keywords: Payment, systems, regulations